ლურჯი მოცვის ბიზნესი საქართველოში

4 აგვისტო, 2023

ევა ბოჭორიშვილი
კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge | +995 322 401 111 – 8036

მარიამ ჩახვაშვილი
სექტორის უფროსი | mchakhvashvili@gt.ge | +995 322 401 111 – 7897

დაჩი მუჯირიშვილი
ანალიტიკოსი | dmujirishvili@gt.ge | +995 322 401 111 – 8835

ძირითადი მიგნებები

მსოფლიო ტენდენციები: მსოფლიოში ლურჯი მოცვის წარმოება წლიურად საშუალოდ 19.6%-ით გაიზარდა 2017-2021 წლებში 1.8 მლრდ კგ-მდე და IBO-ს პროგნოზით, 2025 წლისთვის, 3.0 მლრდ კგ-ს მიაღწევს. მოცვის უმსხვილესი მწარმოებლები და მომხმარებლები არიან აშშ და ჩინეთი, ხოლო უმსხვილესი ექსპორტიორები პერუ, ჩილე, ესპანეთი, კანადა და ნიდერლანდები. სწორედ ეს 5 ქვეყანა განსაზღვრავს ექსპორტის ფასს გლობალურად. ამასთან, ექსპორტის საშუალო ფასი მსოფლიოში საშუალოზე მაღალია იანვარ-ივნისის განმავლობაში, როდესაც ბაზარი მარაგდება ძირითადად ევროპული მოცვით, ხოლო ივლისიდან ფასები ეცემა კანადის და ჩილეს შედარებით იაფიანი მოცვის ბაზარზე შემოსვლის შედეგად.

ლურჯი მოცვის წარმოება საქართველოში: საქართველომ ლურჯი მოცვის წარმოება 2019 წლიდან დაიწყო სახელმწიფოს და დონორების მხრიდან ამ დარგის მიმართ გაზრდილი მხარდაჭერის დამსახურებით. საქართველოში ლურჯი მოცვით გაშენებული ბაღების ჯამურმა ფართობმა 2,000 ჰა-ს გადააჭარბა 2022 წლის ბოლოსთვის. შედეგად, მოსავალი 8.5-ჯერ გაიზარდა 2019-23 წლებში 0.5 მლნ კგ-დან 4.0 მლნ კგ-მდე.

მოსავლიანობა და წარმოების პროგნოზი: საქართველოში მოცვის ბაღები ჰექტარზე 14.5 ტონა მოსავალს იძლევა, რაც ქვეყანას გლობალურად მე-7 ადგილზე აყენებს. შესაბამისად, არსებული ბაღების სრულ მსხმოიარობაში შესვლის გათვალისწინებით, ჩვენი პროგნოზით, 2027 წლისთვის ლურჯი მოცვის წარმოება 25 მლნ კგ-მდე გაიზრდება (2023 წლის 4 მლნ კგ-დან).

საქართველოსთვის ლურჯი მოცვი საექსპორტო პროდუქტია. მოცვის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები წლიურად გაორმაგდა და 18.5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია 2023 წელს. რაოდენობრივად მოცვის ექსპორტმა 3.0 მლნ კგ შეადგინა 2023 წელს, ხოლო ექსპორტის საშუალო ფასმა კგ-ზე 6.1 აშშ დოლარი. საქართველოსთვის რუსეთი მთავარი საექსპორტო ბაზარია 90%-ზე მეტი წილით, თუმცა აქტიურად ხდება ალტერნატიული ბაზრების ათვისებაც. მაგალითად, 2023 წლის ივნისში განხორციელდა ექსპორტი გერმანიის, ნიდერლანდებისა და პოლონეთის მიმართულებით. ჩვენი აზრით, ეს ბაზრები მიმზიდველია ივნის-ივლისში (რაც საქართველოს საექსპრტო თვეებია) არსებული მოთხოვნისა და ფასის გათვალისწინებით.

სამომავლო პერსპექტივები: სწრაფი ზრდის მიუხედავად, საქართველოს მოცვის სექტორი ახალგაზრდა დარგია და შესაბამისად, გამოწვევების წინაშეა. ამასთან, წარმოების მოსალოდნელი ზრდა მომდევნო 5-10 წლის განმავლობაში მოითხოვს ფოკუსირებას საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციაზე. ამ საკითხების გადასაჭრელად, ინდუსტრიამ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს ხარისხის კონტროლს, შენახვის ვადის გახანგრძლივებას და საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციას, სამაცივრე მეურნეობებსა და სხვა ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებთან ერთად. გარდა ამისა, მოცვის გადამამუშავებელი წარმოების დაწყება კიდევ უფრო გაზრდის ინდუსტრიის პოტენციალს.

შინაარსი

1	მსოფლიო ტენდენციები
2	მოცვის ბიზნესი საქართველოში
3	პერსპექტივა

მსოფლიოში მოცვის წარმოება 2017-22 წლებში გაორმაგდა და 1.8მლრდ კგ შეადგინა

- მოცვის გლობალური წარმოება წლიურად საშუალოდ 19.6%-ით გაიზარდა 2017-2021 წლებში და 1.8 მლრდ კგ-ს მიაღწია. მოცვის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBO) თანახმად, მოცვის წარმოება 2025 წლისთვის 3.0 მლრდ კგ-ს მიაღწევს. ზრდას განაპირობებს ახალი სახეობების გაშენებული ფართობი და გაზრდილი პროდუქტიულობა.
- მსოფლიოში მოცვის დარგული ფართობი საშუალოდ წელიწადში 10.8%-ით იზრდებოდა 2017 წლიდან მოყოლებული და 2021 წელს 235'000 ჰა-ს მიაღწია. აქედან 186'000 ჰა იყო მსხმოიარე. IBO-ს ინფორმაციით, პროდუქტის პოპულარობის ზრდის შედეგად, მოსალოდნელია მოცვის ბაღების შემდგომი ზრდა.

ლურჯი მოცვის წარმოება მსოფლიოში, მლრდ კგ



მოცვის დარგული ფართობი, 000' ჰა



წყარო: FAO, IBO, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: 2019-2021-ის მონაცემები არის IBO-დან და 2017-18 IBO-ს და FAO-ს მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრებაა; შეიცავს მოცვის მარტო მაღალბუჩქოვან სახეობას

წყარო: IBO

მსოფლიოში მოცვის უმსხვილესი მწარმოებლები ჩინეთი და აშშ არიან

- ამერიკის შეერთებულმა შტატებსა და ჩინეთზე მსოფლიოს წარმოების 45.0% მოდის 2021 წელს. მათი მოსავლიანობა შედარებით დაბალია, თუმცა პირველობას ინარჩუნებენ გაშენებული ფართობების სიდიდის ხარჯზე. პერუს და ესპანეთს აქვთ ყველაზე ხელსაყრელი კლიმატური პირობები და ნიადაგი მოცვის წარმოებისთვის, რის შედეგადაც მათი მოსავლიანობა ყველაზე მაღალია.
- მსოფლიოს მოცვის წარმოებაში საქართველო უმნიშვნელო პოზიციას იკავებს, თუმცა 1 ჰექტარზე მოსავლიანობით (14.5 ტონა) საქართველო უსწრებს არაერთ ქვეყანას და მსოფლიოში მე-7 ადგილზე დგას.

ლურჯი მოცვის წარმოება 2021 წელს, კგ



წყარო: IBO

ლურჯი მოცვის მოსავლიანობა 2021 წელს, ტონა/ჰა



წყარო: IBO
შენიშვნა: ეს არის შერჩეული მსხვილი კომპანიების საშუალო მოსავალი, რომელთა ბაღებიც შესულია სრულ მსხმოიარებაში. ქართული მოცვის ბაღების უმეტესობა ძალიან ახალგაზრდაა და სრულ მსხმოიარებამდე კიდევ 3-6 წელი ჭირდებათ

აშშ და ჩინეთი მოცვის უმსხვილესი მწარმოებლებიც და იმპორტიორებიც არიან

- ლურჯი მოცვის მოხმარებამ მსოფლიოში 1.8 მლრდ კგ შეადგინა 2021 წელს. აქედან 67.1% იყო ახალი და 32.9% გადამუშავებული მოცვი. აშშ-ს და ჩინეთის წილმა ჯამურ მოხმარებაში 59.9% შეადგინა. ეს 2 ქვეყანა მოცვის უმსხვილესი მწარმოებლებიც არიან, მაგრამ მაღალი მოხმარებიდან გამომდინარე, ორივე ქვეყანა წმინდა იმპორტიორია.

ლურჯი მოცვის მოხმარება 2021 წელს, მლნ კგ



წყარო: ITC, IBO

ლურჯი მოცვით თვითუზრუნველყოფა, 2021



წყარო: ITC, IBO

პერუ, ჩილე და ესპანეთი ლურჯი მოცვის უმსხვილესი ექსპორტიორები არიან

- მოცვის მსოფლიო ექსპორტი 2017-22 წლებში გაორმაგდა და 917.0 მლნ კგ-ს მიაღწია 2022 წელს. უმსხვილესი ექსპორტიორები იყვნენ პერუ, ჩილე და ესპანეთი. მათი წილი 2022 წლის მსოფლიო ექსპორტში 50.7%-ს შეადგენდა. საქართველოდან მოცვის ექსპორტი ამჟამად მცირეა და ჯამური მსოფლიო ექსპორტის მხოლოდ 0.2%-ს შეადგენდა 2022 წელს.

ლურჯი მოცვის ექსპორტი მსოფლიოში, მლნ კგ



წყარო: ITC
შენიშვნა: 2022 წელს საშუალო საექსპორტო ფასი დაეცა პერუს ფასის 15%-იანი შემცირების ხარჯზე;
მოცვის ექსპორტის ღირებულების დინამიკისთვის იხილეთ გვ 23

ლურჯი მოცვის ექსპორტი მსოფლიოში, 2022



წყარო: ITC
შენიშვნა: ღირებულებით მოცვის უმსხვილესი ექსპორტიორების სანახავად ეწვიეთ დანართს 23-ე გვერდზე

მოცვის მსოფლიო წარმოებას, ექსპორტს და ფასებს მკაფიო სეზონურობა ახასიათებს

მოცვის ექსპორტი, 2019-22-ის საშუალო, მლნ კგ



მოცვის ექსპორტის ფასი, $/კგ, 2019-22-ის საშუალო



წყარო: ITC
შენიშვნა: საქართველო არ მოიცავს ბაზრის მნიშვნელოვან წილს და გრაფიკზე გამოტანილია საექსპორტო პერიოდის საჩვენებლად

2022 წლის მონაცემებით:

- **მსოფლიოში** მოცვის ექსპორტის საშუალო ფასი კგ-ზე 5.2 აშშ დოლარი იყო
- **ჩილე** და **მაროკო** არიან მსოფლიოში უმსხვილესი ექსპორტიორები **იანვარ-მარტის** პერიოდში. მათი საშუალო საექსპორტო ფასია შესაბამისად 4.8 და 5.5 აშშ დოლარი/კგ-ზე
- **ესპანეთი აპრილ-ივლისშია** ტოპ ექსპორტიორი, საშუალოზე მაღალი ფასებით (კგ-ზე 5.7 დოლარი).
- **წლის მე-2 ნახევარში** ლიდერობენ **პერუ** და **კანადა**. ამ ქვეყნების ექსპორტის ფასი შედარებით დაბალია:
  - **კანადის** საშუალო საექსპორტო ფასი იყო კგ-ზე 2.5 აშშ დოლარი
  - **პერუს** საშუალო საექსპორტო ფასი იყო კგ-ზე 4.9 აშშ დოლარი
- დეკემბერში მიწოდებით პირველ ადგილს **ნიდერლანდები** იკავებს. ნიდერლანდური მოცვი ყველაზე ძვირია, კგ-ზე 7.5 აშშ დოლარი
- **საქართველო** ექსპორტს **ივნისსა და ივლისში** ახორციელებს. ივნისში ფასი მაღალია, რადგანაც ესპანეთი ახდენს გავლენას ფასზე. ივლისში ფასები ვარდება, რადგან კანადა ზრდის წარმოებას და მსოფლიო ბაზარს აწვდის იაფ მოცვს.

1	მსოფლიო ტენდენციები
2	მოცვის ბიზნესი საქართველოში
3	პერსპექტივა

საქართველოში მოცვის მოსავალმა 2023 წელს 4.0 მლნ კგ შეადგენდა, ხოლო 2027 წლისთვის 25 მლნ კგ-მდე გაზრდაა მოსალოდნელი

- მოცვის წარმოება საქართველოში 2019-23 წლებში 8.5-ჯერ გაიზარდა 4.0 მილიონ კგ-მდე. ზრდა განაპირობა სამთავრობო და დონორების პროგრამებმა.
- 2022 წელს მოცვის გაშენებულმა ფართობმა 2,000 ჰექტარს მიაღწია. მოცვის ბაღები გაშენების მე-2 წლიდან უკვე იძლევიან გარკვეულ მოსავალს, თუმცა მაქსიმალური მოსავლიანობა 4-7 წელში მიიღწევა. IBO-ს შეფასებით, საქართველოში მოცვის მოსავლიანობა ჰექტარზე 14.5 ტონაა. შესაბამისად, ამჟამინდელი გაშენებული ფართობის გათვალისწინებით, სხვა ბაღების დამატების გარეშეც კი, 2027 წლისთვის საქართველოს მოცვის წარმოება დაახლოებით 25 მილიონ კგ-ს მიაღწევს.

ლურჯი მოცვის წარმოება საქართველოში, მლნ კგ



წყარო: საქსტატი, IBO, გალტ & თაგარტი

ლურჯი მოცვის ნათესი ფართობი, ჰა



წყარო: IBO, სოფლის განვითარების სააგენტო

სამეგრელო მოცვის უმსხვილესი მწარმოებელია

რეგიონები მოცვის ბაღებით



წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო

- ყველაზე დიდი რაოდენობის მოცვის ბაღები სამეგრელოშია გაშენებული და ამ რეგიონზე ჯამური გაშენებული ბაღების ფართობის ნახევარი მოდის.
- ყველაზე ადრე მოსავალი მოდის იმერეთში და გურიაში, ხოლო სამეგრელოში ყველაზე დიდხანს გრძელდება მოსავლის აღება.
- სოფლის განვითარების სააგენტოს მიხედვით, მოცვის ბაღების საშუალო ინვესტიცია 1 ჰექტარზე 30.9 ათას ლარს შეადგენდა 2017-22 წლებში, ხოლო 2022 წელს საშუალო საინვესტიციო ღირებულება გაიზარდა ჰექტარზე 33.3 ათას ლარამდე.

მოცვის ექსპორტიდან შემოსავალი გაორმაგდა და 18.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა 2023 წელს

- საქართველოდან მოცვის ექსპორტი დაიწყო 2019 წელს და ყოველწლიურად ორმაგდებოდა როგორც რაოდენობრივად, ასევე თანხობრივად. 2023 წლის 7 თვის მონაცემებით, მოცვის ექსპორტმა 18.2 მლნ აშშ დოლარი და 3.0 მლნ კგ შეადგინა, რაც 2.1-ჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებლებს. მოსავლის აღების სეზონიდან გამომდინარე, საექსპორტო თვეები 2023 წელსაც ივნისი და ივლისი იყო. საშუალო საექსპორტო ფასი ივნისში იყო კგ-ზე 6.3 აშშ დოლარი, ხოლო ივლისში კგ-ზე 5.5 აშშ დოლარი. აღნიშნული თვიური კლება გლობალური ტენდენციებიდან გამომდინარეობს (იხ. გვერდი 8).
- მოცვის ექსპორტის უმეტესი ნაწილი (ჯამური ღირებულების 91.7%) გავიდა რუსეთში 2023 წლის 7 თვეში. დანარჩენი 8.3%-დან 3.0% გავიდა სომხეთში, 2.3% ევროკავშირის ქვეყნებში (პოლონეთი, ნიდერლანდები, გერმანია), 1.9% არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში და 1.1% სხვა ქვეყნებში.

საქართველოდან ლურჯი მოცვის ექსპორტი, მლნ აშშ$



საქართველოდან ლურჯი მოცვის ექსპორტი, ტონა



წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო
შენიშვნა: მოცვის მოსავლის აღების სეზონი დასრულებულია, შესაბამისად 2023 წლის 7 თვის მონაცემები შეგვიძლია მივიჩნიოთ 2023 წლის სრული წლის საპროგნოზო მაჩვენებლად

წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო

საქართველოში ლურჯი მოცვის საბითუმო ფასები 2023 წელს 20 ლარით დაიწყო და 5.5 ლარამდე შემცირდა

- ლურჯი მოცვის ფასი როგორც საბითუმო, ასევე საცალო ბაზარზე, მკვეთრად სეზონურია. 2023 წლის 2 ივნისის კვირაში ფასი იყო 20 ლარი/კგ-ზე, ივლისის ბოლოს ფასი კგ-ზე 5.5 ლარამდე ჩამოვიდა. მოცვის ფასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მიწოდების რაოდენობას, მოთხოვნას როგორც ადგილობრივი ასევე საექსპორტო ბაზრებიდან, ვალუტის კურსს და გლობალურ ტენდენციებს (იხ. გვერდი 8). 2023 წლის დაბალი ფასი (წინა წლებთან შედარებით) ნაწილობრივ ლარის გამყარებითაც აიხსნება.

ლურჯი მოცვის საბითუმო ფასები საქართველოში, ლარი/კგ-ზე



წყარო: FAO, EBRD

ლურჯი მოცვის საბითუმო ფასები საქართველოში, აშშ$/კგ-ზე



წყარო: FAO, EBRD

ჩვენი შეფასებით, ლურჯი მოცვის ექსპორტი საქართველოდან 20 მლნ კგ-მდე გაიზრდება 2027 წლისთვის

- უკვე გაშენებული ბაღების გათვალისწინებით, ჩვენი შეფასებით, ლურჯი მოცვის წარმოება 25 მლნ კგ-ს მიაღწევს 2027 წლისთვის.
- 2022 წელს საქათველოში მოცვის ადგილობრივმა მოხმარებამ 0.9 მლნ კგ შეადგინა (0.2 კგ ერთ სულზე). ჩვენ ველოდებით ადგილობრივი მოხმარების ზრდას 2.0 მლნ კგ-მდე 2027 წლისთვის, პოპულარიზაციის და შემოსავლების ზრდის პარალელურად.
- შესაბამისად, საქართველოს ექნება მოცვის დაახლოებით 20 მლნ კგ-ის საექსპორტო პოტენციალი 2027 წლისთვის.

საქართველოში ლურჯი მოცვის წარმოების პროგნოზი, მლნ კგ



წყარო: გალტ & თაგარტი

ლურჯი მოცვის მოხმარება ერთ სულზე, კგ



წყარო: IBO, მსოფლიო ბანკი, გალტ & თაგარტი

1	მსოფლიო ტენდენციები
2	მოცვის ბიზნესი საქართველოში
3	პერსპექტივა

საქართველომ უნდა მოიძიოს ახალი საექსპორტო ბაზრები

- ჩვენი შეფასებით, ივნის-ივლისში რუსეთში მოცვის იმპორტი 14.4 მლნ კგ-ს მიაღწევს 2027 წლისთვის (3.9 მლნ კგ იყო 2022 წელს), არსებული მოხმარების ტენდენციების გათვალისწინებით. ამ დროისთვის საქართველოს საწარმოო პოტენციალი 25 მლნ კგ-ს მიაღწევს, რაც ახალი ბაზრების მოძიების საჭიროებაზე მიუთითებს.

ლურჯი მოცვის წარმოება და იმპორტი რუსეთში, მლნ კგ



წყარო: ITC, FAO, გალტ & თაგარტი

საქართველოდან რუსეთში ლურჯი მოცვის ექსპორტი, მლნ კგ



წყარო: ITC, FAO, საქსტატი, გალტ & თაგარტი

ევროკავშირის ქვეყნები მიმზიდველი ბაზრებია საქართველოსთვის

- ქვემოთ ჩამოთვლილია ევროპის ის ქვეყნები, რომლებიც ივნის-ივლისის პერიოდში (საქართველოს საექსპორტო სეზონი) მოცვის უმსხვილესი იმპორტიორები არიან. ივნის-ივლისში ყველაზე მაღალი მოთხოვნა არის გერმანიაში, ბრიტანეთსა და ნიდერლანდებში.
- აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ივნისში ამ ქვეყნების მიმართულებით საქართველომ გაიტანა მოცვი და გარკვეული გამოცდილება შეიძინა.

ლურჯი მოცვის იმპორტის მოცულობა 2022-ის ივნის-ივლისში

იმპორტის მოცულობა, მლნ კგ



იმპორტის ფასი, აშშ$/კგ

იმპორტის მოცულობის CAGR, 2017-22



წყარო: ITC, გალტ & თაგარტი
შენიშვნა: CAGR აჩვენებს საშუალო წლიურ ზრდას; რუსეთის შემთხვევაში იმპორტის ოდენობა გამოთვლილია 2022 წლის არაპირდაპირ მონაცემებზე დაყრდნობით, ასევე საშუალო ფასი აჩვენებს 2021 წლის მაჩვენებლებს.

მოცვის ათვისების ალტერნატიული გზა მისი გადამუშავება ან გაყინვაა

ლურჯი მოცვის ჭარბი წარმოების ეფექტურად ათვისების ერთ-ერთი გზაა გადამუშავება ან გაყინვა. ასე იზრდება მათი შენახვის და ათვისების ვადა. ეს მიდგომა შესაძლოა იყოს მოცვის ფასების რყევების მართვისა და ქართული მოცვის ინდუსტრიის მომგებიანობის გაზრდისთვის ეფექტური სტრატეგია.

ჯემი/წვენი

მოცვის ჯემი: მოცვის თერმული დამუშავებით, შესქელებით და სხვადასხვა ინგრედიენტების დამატებით მიიღება მოცვის ჯემი.
მოცვის წვენი: მოცვის წვენი საკმაოდ პოპულარული პროდუქტია, ის მოიხმარება როგორც დამოუკიდებელ სასმელად, ასევე სხვადასხვა კოქტეილების ან ჯანსაღი საუზმის ინგრედიენტად.
შედარებისთვის, მსოფლიოში კენკრის წვენისა და ჯემის ექსპორტმა 0.2 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა 2022 წელს

ჩირი

მოცვის ჩირი: მოცვის გამოშრობით მიიღება ჩირი. მოცვის ჩირი გამოიყენება როგორც დამოუკიდებელი პროდუქტი წასახემსებლად. ასევე მაღალია მისი გამოყენება ჯანსაღი საუზმისთვის, მიუსლისთვის, ენერგეტიკული საჭმლისთვის, ცომეულსა და ტკბილეულში. ჩირის პოპულარობა მზარდია.
შედარებისთვის, მსოფლიოში კენკრის ჩირის ექსპორტმა დაახლოებით 1.3 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა 2022 წელს.

გაყინული

გაყინული მოცვი გამოიყენება ცომეულსა და სხვა პროდუქტებში. არსებობს გაყინვის ორი მეთოდი, რის შედეგადაც მოცვის სიცოცხლის ხანგრძლივობა 1) იზრდება 3-4 კვირით ან 2) იზრდება რამდენიმე თვით.
შედარებისთვის, გაყინული კენკრის (მარწყვის გარდა) ექსპორტის ღირებულებამ 1.7 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა 2022 წელს.

წყარო: გალტ & თაგარტი, ITC

მოცვის სექტორი საქართველოში შედარებით ახალგაზრდაა და შესაბამისად ბევრი საკითხია გადასაჭრელი

ვარგისიანობა, შენახვა და ტრანსპორტირება: მოცვის აღება მხოლოდ 2 თვის განმავლობაში გრძელდება და მისი შენახვა დამატებითი დამუშავების გარეშე 2-3 კვირის განმავლობაშია შესაძლებელი. შესაბამისად, მოსავლის აღების შემდგომ სწორად შენახვას და გადაზიდვას აქვს დიდი მნიშვნელობა. ამისთვის საჭიროა სპეციფიკური დისტრიბუციის მანქანების და სამაცივრე მეურნეობების არსებობა. ამ მიმართულებით საქართველოს აქვს პროგრესი, თუმცა არასაკმარისი და მაღალია მომავალი განვითარების პერსპექტივაც. ლოგისტიკის ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობებს გააძლიერებს.

ხარისხის კონტროლი და სტანდარტები: ხარისხის უზრუნველყოფა და საერთაშორისო საექსპორტო სტანდარტების დაცვა წარმოადგენს გამოწვევას, რაც მოითხოვს მიწოდების ჯაჭვში ხარისხის კონტროლის მკაცრი ზომების მიღებას.

მცენარის მოვლა: ვინაიდან მოცვის ინდუსტრია საქართველოში შედარებით ახალია, მცენარის მოვლის და დაავადებების მართვის შეზღუდულმა ცოდნამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფერმერებს. მთავრობისა და დონორი ორგანიზაციების გამოცდილების გაზიარების პროგრამები მიზნად ისახავს ამ რისკების შემცირებას, ბაზრის მომზადებას და პრევენციული ზომების მიღებას.

სახელმწიფო მხარდაჭერა: სოფლის განვითარების სააგენტოს დახმარების პროგრამები მოიცავს როგორც ფინანსურ დახმარებას, ასევე ცოდნის გაზიარებას.

ალტერნატიული გამოყენება: ლურჯი მოცვის გადამუშავებისაგან მიღებულ პროდუქტებს, როგორიცაა გაყინული მოცვი, ჩირი, წვენები და სხვა აქვთ დიდი პოტენციალი (იხილეთ გვ.18). ამ მიმართულების განვითარებას ჭირდება დამატებითი ინვესტიცია და მასშტაბი.

დანართი 1: შერჩეული ქვეყნების ძირითადი მაჩვენებლები

მოცვის წარმოება, იმპორტი, ექსპორტი და ადგილობრივი მოხმარება 2021, ტონა

ქვეყანა	წარმოება	იმპორტი	ექსპორტი	მოხმარება	თვითუზრუნველყოფა
ჩინეთი	477,000	34,570	40	511,530	93%
აშშ	328,210	253,180	22,380	559,010	59%
პერუ	261,450		227,480	33,970	770%
ჩილე	185,300		106,050	79,250	234%
კანადა	80,420	71,886	78,322	73,984	109%
ესპანეთი	76,360	35,337	89,646	22,051	346%
პოლონეთი	55,500	14,250	24,880	44,870	124%
გერმანია	15,500	62,290	5,850	71,940	22%
იტალია	8,750	10,131	3,143	15,738	56%
ნიდერლანდები	8,100	115,470	91,520	32,050	25%
საფრანგეთი	7,916	13,863	5,582	16,197	49%
ბრიტანეთი	5,000	62,190	1,080	66,110	8%
რუსეთი	4,000	10,720	202	14,518	28%
ლიტვა	1,840	2,850	460	4,230	43%
ავსტრია	1,740	8,041	1,253	8,528	20%
საქართველო, 2022	2,200	70	1,393	878	251%
ბელგია	830	8,973	5,740	4,063	20%
შვეიცარია	680	7,511	-	8,191	8%
სხვა	231,964	134,234	143,185	219,180	104%
მსოფლიო	**1,789,590**	**845,496**	**848,823**	**1,786,287**	**100%**

წყარო: IBO, ITC

დანართი 2: პერუ, ნიდერლანდები, ჩილე და ესპანეთი არიან უმსხვილესი ექსპორტიორები

ლურჯი მოცვის ექსპორტი მსოფლიოში, მლრდ აშშ$



წყარო: ITC

ლურჯი მოცვის მსოფლიო ექსპორტი, 2022



წყარო: ITC

დანართი 3: საქართველოში მოცვის იმპორტი უმნიშვნელოა და ძირითადად სომხეთში რეექსპორტისთვისაა განკუთვნილი

- ლურჯი მოცვის იმპორტი წლიურად 98.8%-ით გაიზარდა და 0.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა 2023 წლის პირველ ნახევარში, რაც ძირითადად სომხეთში იყო გატანილი რეექსპორტის სახით.

საქართველოში ლურჯი მოცვის იმპორტი



საქართველოში ლურჯი მოცვის იმპორტიორები, 2022



წყარო: საქსტატი
შენიშვნა: იმპორტის ფასი მკვეთრად განსხვავდება ექსპორტისგან მოცვის სახეობების განსხვავების გამო

წყარო: საქსტატი

დანართი 4: ლურჯი მოცვის იმპორტი რუსეთში

რუსეთში ლურჯი მოცვის იმპორტი, 2021

იმპორტის ღირებულება, მლნ აშშ$



იმპორტის მოცულობა, მლნ კგ



იმპორტის ფასი, აშშ$/კგ



წყარო: ITC

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("გალტ & თაგარტი"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია გალტ & თაგარტი-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evaboshorishvili@gt.ge

მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების განყოფილების უფროსი
ლაშა ქავთარაძე | lkavtaradze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

მისამართი: 3 პუშკინის ქუჩა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
გიგა ნოზაძე | gnozadze@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
გიორგი ცქიტიშვილი | g.tskitishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ზურაბ თავყელიშვილი | ztavkelishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
სერგი ყურაშვილი | skurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დაჩი მუჯირიშვილი| dmujirishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე| maokropiridze@gt.ge

ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი| othukhishvili@gt.ge